# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურად . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურად . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

№ 65
წელიწადი პირველი
= 1912 =
ხუთშაბათი, 13 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (თეატრის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

| | | |
|---|---|---|
| გაზეთის ფასი: | ერთი წლით . . | 7 მანეთი, |
| | ნახევარი წლით . . | 4 მანეთი, |
| | ერთი თვით . . | 4 აბაზი |
| | და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური. |

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისისთვის ორი მანეთი.

მასწავლებლებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურად გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულად ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურად 6 აბაზათ.

სამკლო-ვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

**ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:**

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში"—ისიდორე კვიცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჰეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; დაბნხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.



აბა, მოსწიეთ პაპიროსი
15 ცალი 6 კ. **„ა ნ ი"** 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოსწიეთ პაპიროსი
20 ცალი 1 შაურათ **„ბელაია რომაშკა"** 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

ფართლეულობის ვაჭრობა **„რომანოზ ქაიხოსროს-ძის მახარაძისა"** ვორონცოვის ქუჩაზე
პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს
**დიდ იაფ ვაჭრობას** ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, როგორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ.
პატივისცემით **რომანოზ ქ. მახარაძე.**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 13 დ ე კ ე მ ბ ე რ ს
გ. არადელი-იშხნელის საბენეფისოთ
**შლუკ და იაუ**
კომ. 5 მოქმ. ჰაუპტმანისა. თარგმ. ვ. მალაქიაშვილისა.
დასაწყისი სად. $8^1/_2$ საათზე.

**ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდი**
ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი
**ა. მ. ვართანოვი და ამხ.**
ნ ი შ ნ ა ვ ს
დ ი დ ს ა შ ო ბ ა ო
ი ა ფ ვ ა ჭ რ ო ბ ა ს.

ახლადგახსნილი სამანუფაქტ. მაღაზია
**გ. დ. კაჭკაჭოვისა.**
(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).
საზოგადოების თხოვნით დიდ **იაფვაჭრობას** ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.
სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები." ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოვ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით
პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი

ფართლეულობის მაღაზია
ქუთაისში **ზ. ს. ბუტულოვისა** ქუთაისში
გიმნაზიის ქუჩა, ს. რიჟინაშვილისა. ბულვარის პირად.
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ინ ვნიშნავთ
**საშობაო დიდ იაფ-ფასიან ვაჭრობას**
პატივისცემით ზ. ს. ბუტულოვი.

**პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!**
ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. **ოცხელების** შენობაში **ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში**, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი **პალტოები** ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, **ფეხსაცმელები** ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო იარაღები** სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.
ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით ა. ახვლედიანი.

**ექიმი ი. ჩარექოვი.**
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

**ბებია ქალი**
ო. დონდუას ასული
ექიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსავლელებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**ექიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**ექიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

კ ბ ი ლ ი ს
**ექიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჩიჩინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი. თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

**ექიმი.** გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

პაებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვისა და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ამ მოკლე დროში ვნიშნავ დიდ იაფ

ვაჭრობას

ვაჭრობის დანიშვნის დღე თავის დროზე გამოცხადდება.

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვრჩა. აგრეთვე ვღებულობთ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.


# დღიური.

თფილისის დეპუტაცია 9 დეკემბერს ბაქოში ნავთის მრეწველთა კრებას დაესწრო. დეპუტაცია კრებას პოლიტეხნიკუმის სასარგებლოთ ფულს სთხოვდა. ხატისოვმა გააცხადა, გარდა წლიური 17 ათასი მანეთის დახმარებისა, ერთდროულათ 400 ათასი მანეთით დაგვეხმარეთო.

— ბაქოს გრადონაჩალნიკმა მარტინოვმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა ორი კვირის განმავლობაში აირჩიეთ ქალაქის მოურავი, თვარა მერე მთავრობა დაგინიშნავთ მოურავსო.

— ი. მანსვეტაშვილს თავის სამრეწველო ქონება ბაქოში მილიონ სამას ათას [illegible]

— სოფიაში [illegible], რომ მშვიდობიანობა დამყარდება და ომისათვის ემზადებიან.

— მას შემდეგ, რაც ფერდინანდი სალონიკში იყო, ბულგარეთ საბერძნეთ შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდაო.

— მიუხედავათ დროებითი ზავისა ოსმალები სერბიელებს მაინც თავს ესხმიან.

— სათათბიროში განსაკუთრებული წესების შესახებ კადეტებმა შეკითხვა შეიტანეს.

— საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ ოკტომბრისტებს სათათბიროში საკანონმდებლო წინადადება შეაქვთ.

— მშვიდობიანობის შესახებ კრებაზე ოსმალეთისა და საბერძნეთის მორიგების საკითხი განიხილეს.

— ოსმალებმა იანინიდან ბერძნები განდევნეს.

— სოფიოში დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა დაადგინა კოკოვცოვს სამადლობელი დეპეში გაუგზავნოს.

— შინაგან საქმეთა მინისტრი ფინლანდიის სოციალ-დემოკრატების წინა- [illegible]

— ქალაქ რიგის სასულიერო სემინარიაში არეულობაა.

— ახსაბადის მახლობლათ 7—8 დეკემბერს შავი ჭირით 32 კაცი მოკვდა.

— პროგრესისტთა ფრაქცია კადეტების შეკითხვას გაძლიერებული დაცვის წესების შესახებ მხარს დაუჭერს.

— ციმბირის დეპუტატებმა ადგილობრივი ინტერესების დასაცავათ სათათბიროში ცალკე ჯგუფი დააარსეს.

## ორი სიტყვა მინისტრის დეკლარაციაზე.

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცეს, კოკოვცოვის დეკლარაციამ ვერც ერთი პარტია ვერ დააკმაყოფილა. პურიშკევიჩი და მისი ამხანაგები გაუბედაობასა და ორჭოფობას უკიჟინებენ, მემარცხენეები კი პოლიტიკის მიმართულებას.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო დეკლარაციის ორი მხარე.

დეკლარაცია ამბობს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობისა, ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლებისა და სხვა თავისუფლებათა კანონ-პროექტები მხოლოდ მზადდებაო, ე. ი. ჯერ დამზადებული არ არისო. და იმავე დროს აუარებელი წვრილმანი კანონ-პროექტი დაუმზადებიათ. დეკლარაცია მოწონებით აღნიშნავს მესამე სათათბიროს მუშაობის უნარს. და წინადადებას აძლევს მეოთხე სათათბიროს იმავე გზით იაროს. მესამე სათათბიროში ორი ათასზე მეტი კანონი დამზადდა და მრავალი კანონპროექტი ანდერძათ დარჩა მეოთხე სათათბიროსო.

ერთი სიტყვით, ის კანონები, რომელიც ცხოვრების განახლებას საფუძვლათ უნდა დაედვას, ჯერ დამზადებულიც არ ყოფილა. და სათათბირომ ხუთი წლის განმავლობაში მთელი თავისი დრო და ენერგია ისევ წვრილმან მუშაობას, აგრე წოდებულ „ვერმიშელის“ მზადებას უნდა მოახმაროს!

რა ეჩქარებათ! პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვისა, ბეჭდვისა და კრების თავისუფლება ხომ უარყოფა იქნებოდა ბიუროკრატიის თვითნებობისა!

რაც შეეხება კერძოთ კავკასიის საკითხს, დეკლარაცია პირდაპირ აღიარებს, რომ ჩვენი ქვეყანა რეფორმებისთვის ვითომ ჯერ მზათ არ არის. მაშ კიდევ ხუთ წელიწადს უნდა ვიყოთ უიმედოთ! და ვინ იცის, იქნება უფრო დიდ ხანსაც! და სათათბიროს უმეტესობა რომ ამ საკითხში ბიუროკრატიას მიემხრობა, ცხადია, ოკტიაბრისტების პოლიტიკას თუ გავიხსენებთ.

საკვირველია! ევროპის ყველა სახელმწიფომ აღიარა და უზრუნველყო ალბანეთის ავტონომია, თუმც ალბანელებს ჯერ ანბანიც კი არ აქვთ. და ჩვენს ბიუროკრატიას ერობაც კი არ ემეტება ქართველი ერისთვის, რომელიც ასე მდიდარია ინტელიგენციითა, მოეპოება მაღალი სამიწათ-მოქმედო კულტურა, აქვს გავითარებული ვაჭრობა-მრეწველობა, ლიტერატურა და სხვ.

და ჩვენი დეპუტატები მოვალე არიან ხაზ-გასმით აღნიშნონ საკანონმდებლო მოედნიდან ჩვენი ქვეყნის გამორიცხვა.

ურო.

## შინაური მტრები.

31.

**მაჭავარიანის ასული თამარი, ნიკოლოზ მესხი და ალექსანდრე ცხადაძე.**

ჰეროსტრატების რიცხვი ქართველ „მოღვაწეთა“ შორის, სამწუხაროთ, ისე დიდია, რომ ერთისა და ორი მემატიანისათვის მათი საგმირო საქმეების აწერა შეუძლებელია. საგულისხმო კი არის ჩვენი შთამომავლობისათვის—ალიბეჭდოს იმ „ქართველთა“ სახელები, რომელნიც სიტყვით ჩვენი არიან, ხოლო საქმით—ბელზებელისა და სატანის.

ამ მხრით საყურადღებოა სამის ქუთათური „ქართველი“ მასწავლებლის საგმირო საქმე.

როგორც გაზ. „იმერეთში“ უკვე მოხსენებული იყო, სახალხო შკოლების დირექციამ ძალმომრეობის იერიში მიიტანა ქალაქის შკოლებზე და, წინაღმდეგ 1881 წლის ინსტრუქციისა, სასტიკათ მოითხოვა, რომ რუსული ენის სწავლება დაწყის განყოფილებაში პირველი წლის პირველი ნახევრიდანვე—სეკტემბრიდან იწყებოდეს, და არა იანვრიდან. საშკოლო კომისიის კრებამ ამგვარი მოთხოვნა უკანონოთ სცნო—და დეპეშით ოლქის მზრუნველს სთხოვა, რომ დირექციის განკარგულება შეეჩერებია. სამი შკოლის ზედამხედველმა საჭიროთ არა სცნო დეპეშის პასუხისათვის მოეცადათ—და დირექციის მოწიწებით მიართვეს „ოტნოშენიე“, რომ მზათა ვართ თქვენი მოთხოვნა მივიღოთ და შევასრულოთო! ეს სამი ისტორიული პირი გახლავთ: მაჭავარიანის ასული თამარი, ნიკოლოზ მესხი და ალექსანდრე ცხადაძე!

აი როგორ მასწავლებელთა ხელშია მოთავსებული ჩვენი ნორჩი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე! თუ დღევანდელ მასწავლებელს გრძნობა მთლათ გაყინული და გონება დაჩლუნგებული არ აქვს, გული და სული უნდა ეწამლებოდეს იმ არანორმალური სისტემით, რომელიც დღეს ჩვენს შკოლებში არის გამეფებული და რომლის მეოხებითაც მოწაფეებს ეკრძალებათ გასაგების—მშობ- [illegible] სხვადასხვა საგანი და ნორმალურათ განვითარდენ. ყოველი სინიდისიერი პედაგოგი უნდა ცდილობდეს—შეაგნებინოს მთავრობას, რომ ამგვარი სისტემა ბავშებს გონებას უჩლუნგებს—და, მაშასადამე, სახელმწიფოსათვისაც მავნებელია, რადგან მომავალი მისი მოქალაქეები გონებადახშულნი, საზოგადოებისათვის გამოუდეგარი წევრები იქნებიან. როცა უკვე არსებული, ძირითადი კანონი პედაგოგიურ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, იმ შემთხვევაშიც კი ხმა უნდა აამაღლონ და თავისი ადამიანური გრძნობა და ლოღიკური მოსაზრება მართველ სფერებს საბუთიანათ და ენერგიულათ აცნობონ..

ჩვენში კი რას ვხედავთ? არათუ არანორმალური კანონების გაუმჯობესებაზე არ ზრუნვენ, არამედ პირველი მოთხოვნისათანავე მონურათ ემორჩილებიან მოხელეთა იმისთანა განკარგულებას, რომელიც, გარდა იმისა, რომ აშკარა პედაგოგიურს, კაცობრიულ სიმართლეს ეწინააღმდეგება,—თვით არსებული კანონის წინააღმდეგიცაა!

ამას წინათ ჩვენ საკმაოთ განვმარტეთ (№ 47), რომ სახალხო დირექციას სწადია მოგვისპოს ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის ის მცირედი სიღავათიც, რომელიც ჩვენი პირველდაწყებითი შკოლებისათვის კავკასიის ნამესტნიკს 1881 წლის ინსტრუქციით მიუნიჭებია და შემდეგ, თვით იმპერატორის ბძანებით, განათლების მინისტრს 1907 წელს განუახლებია და განუმარტებია. და ჩვენი „პედაგოგები“ ამისთანა მოხელეებს ხელს უწყობენ, რომ უკანონო მოთხოვნები რაც შეიძლება ჩქარა განახორციელონ!

რა უნდა ვუთხრათ ამისთანა „პედაგოგებს“ და ამისთანა აღმზდელებს?!

მართალია, მთავრობა კერძო შკოლებისაც ზედამხედველია—და სახალხო დირექციას უფლება აქვს მინიჭებული—ამ შკოლებს თვალყური ადევნოს, მაგრამ უფლება აქვს მხოლოდ კანონიერი მოთხოვნები წარუდგინოს ზედამხედველებსა და მასწავლებელთ, ხოლო მათ არ შეუძლიათ იმის მოთხოვნა, რაც არსებულ კანონებს აშკარათ ეწინააღმდეგება. ჩვენს ბეჩავ „პედაგოგებს“ ერთი ეს ავიწყდებათ—და მეორე ისიც, რომ, გარდა ადმინისტრატიული მთავრობისა, კერძო შკოლებს შინაური პატრონებიცა ყავთ, რომელნიც მათ ნივთიერათ ასაზრდოებენ და ურომლებოთაც, მაშასადამე, მათი არსებობა შეუძლებელია. და როცა ეს შინაური პატრონები მთავრობის წინაშე სრულიად ლეგალური გზით შუამდგომლობენ და ლეგალური გზით უნდათ აშკარა უკანონობას ეწინააღმდეგონ,—ეს ლაჩარი „პედაგოგები“ სულის წატევით მოძალე მოხელეებთან მირბიან და თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებენ: ცხად უკანონობას ემორჩილებიან ისე, რომ დეპეშის პასუხის მიღებამდიც ვერ დაუცდიათ!..

ამგვარ მოვლენებს, ამგვარ „მოღვაწეობას“ —მითქვამს და კიდევ ვიმეორებ—გზა ფართო ჩვენს საზოგადოებაში იმიტომ აქვს, რომ დამნაშავე პირები არაფერს კარგვენ, ისევ ჩვენს შორის მეგობრულსა და მეზობლურ განწყობილებას პოულობენ, თეთრ კბილსა და ღია გულს: რა სიგლახეც უნდა ჩაიდინონ, ძველებურათ უხვდებათ ყველგან ფართოდ გაღებული კარები, „ღვინო და პური—კეთილი გული.“

აბა ერთი გრძნობდენ ეს ვაჟბატონები, რომ ყოველი საზოგადოებრივი დანაშაული საზოგადოების მხრით მათდამი ზიზღსა და სიძულვილს გამოიწვევს! აბა ერთი წინდაწინ აშინებდეს მათ ის მოლოდინი, რომ საზოგადოებამ ზურგი არ შეგვაქციოს და თავისი თანაგრძნობა არ მოგვაკლოსო!..

დამნაშავენი არაფერს ამისთანას არ მოელიან—და ამიტომაც არის, რომ მათ თვალში თუნდ ერთი გროზდოვის წყრომას ათასჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელი ქართველი საზოგადოებისა...

მართალია, დღესაც არ არის ჩვენში მცირე რიცხვი იმისთანა პირებისა, რომელთაც ამგვარი საზოგადოებრივი დანაშაული აშფოთებს და აწუხებს, მაგრამ ეს შფოთვა და წუხილი ერთმანეთისგან შორიშორს გაისმის, ერთად, ერთ ფოკუსში თავი ვერ მოუყრია და კოლექტიური ხასიათი ვერ მიუღია. ამიტომაც არის, რომ ეს ვაჟბატონები ჩვენს დაბა-ქალა- [illegible] დათარეშობენ...

დე მე მარტოხლათ დავრჩე, დე ჩემი ხმა დარჩეს „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამარ შემიძლია—ამ სამს ულირს პედაგოგსა და სულდაბალ ქართველს არ მოვახსენო შემდეგი:

თქვენი საქციელი მე ქვეყნის ღალატათ მიმაჩნია, ღალატათ ჩვენი მოზარდი თაობის ჭეშმარიტი აღზდა-განათლებისა, ღალატათ ეროვნული მოვალეობისა და წმინდა სინიდისისა—და ამიტომ დღეის შემდეგ ვსპობ თქვენთან ყოველგვარ ნაცნობობას, ყოველგვარ ურთიერთობას.

სილოვანი.

ქუთაისი, 10 დეკემბერი.

## ახალი ამბავი.

✦ 10 დეკემბერს ქალაქის საბჭომ უყურადღებოთ დასტოვა საკითხი ქალაქის სასაკლაოსთან პოლიციის დარაჯების დაყენების შესახებ, რასაც ქუთაისის მაზრის უფროსი თხოულობდა.

✦ 1913 წელში საბჭოს მორიგი სხდომები შემდეგ რიცხვებში მოხდება: იანვარში 8-სა და 21; თებერვალში 4-18; მარტში 4, 18; აპრილში 1, 24; მაისში 7, 20; ივნისში 4, 17; სეკტემბერში 2, 16 და 30; ოკტომბერში 14—28; ნოემბერში 11—25 და დეკემბერში 9—21.

✦ ქალაქის წყალ-გაღმა ნაწილში ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნის შესახებ, ქალაქის საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა იმ პირობით, რომ ქალაქმა 3 წლის განმავლობაში იხადოს განყოფილების სადგომის დასაქირავებლათ წლიურათ 500 მანეთი.

✦ ხორცის არსებულ ნიხრს მოემატა გირვანქაზე თითო კაპიკი, ე. ი. დაწესდა უცხო ჯიშის საქონლის პირველ ხარისხის ხორცზე 13 კაპიკი, მეორე ხარისხზე—12 კაპიკი; ადგილობრივ საქონლის პირველ ხარისხის ხორცზე 11 კაპიკი, ხოლო მეორე ხარისხისაზე 2 შაური; ცხვრისა და ხბოს ხორცზე—13 კაპიკი. კამბეჩის ხორცზე 8 კაპიკი და გირვანქა სუკზე—21 კაპიკი.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწის ლორთქიფანიძის ქვრივს ერთდროულათ 50 მანეთი მისცეს.

✦ ქუთაისის გუბერნიის მუშების დაზღვევის საქმეთა საკრებულოს წევრათ აირჩიეს სტ. ფირალაშვილი.

✦ ქალაქის საბჭომ დაადგინა რომანოვების სახლის 300 წლის დღესასწაულზე გაიგზავნოს ქუთაისის ქალაქის დეპუტაცია.

✦ 4 ნოემბერს ფოთის მომხმ. საზ. „ეკონომია“-ს საზოგადო კრებაზე, სხვათაშორის, გამგეობაში აირჩიეს ნოტარიუსი გვალია და ინგლისელი სმიტი. უკანასკნელი გულმოდგინეთ ეპყრობა კოოპერატივს და თვეში 50—60 მანეთამდი საქონელს ასაღებს.

✦ ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიას ყოველ თვეში 60—70 მანეთის საქონელი გაქონდა კოოპერატიული მაღაზიიდანო. უკანასკნელ ხანებში მზარეულ ქალს ნოქრებისათვის ქრთამი უთხოვია და, ალბათ, ამის გამო ახლა საქონელი სხვისგან მიაქვს. გიმნაზიის დირექტორი შეპირებია მაღაზიას საქმის გამოძიებას.

✦ გამოვიდა და იყიდება ყველგან ჟურნალი „შრომის კავშირი“-ს № 5 შემდეგის შინაარსით: 1) მეთაური: „კოოპერაცია და ქველმოქმედება; 2) მომხმარებელ, საკრედიტო და სხვა კოოპერატივების საყურადღებოთ; 3) კოოპერატივებისა და კოოპერატორების საქმეები ჩვენში,—თ. ღლონტისა; 4) ხალხის მოსარჩლე (სცენები სოფლის ცხოვრებიდან); 5) საკოოპერაციო მოძრაობა ინგლისში,—დ. ღამბაშიძისა; 6) შულცე—დელიჩი, ბიოგრაფია სურათით; 7) საკოოპერაციო დღესასწაული ბელგიაში; 8) კოოპერაციის განვითარება ჩვენში და უცხოეთში (ხრონიკა) და სხვ.

✦ რედაქციამ მიიღო აქიმის ბადრიძის წიგნაკი—„თვით-დაცვის ძალა ადამიანის სხეულში“.

✦ გიტარის მოხელეს ივანე ჩერნიკოვს გამოუგონია ახალი სისტემის გიტარა. მას ეწოდება „გიტარა-პროგრესი“ და როგორც მისი ახალი გაუმჯობესება ამტკიცებს, საუკუნო იქნება. პირველი იანვრიდან იხსნება ახალი სახელოსნო გიტარებისა, რისთვისაც მოწვეული იქნება სპეციალისტები.

✦ 29 ნოემბერს თფილისის სამოსამართლო პალატამ სხვა დროისთვის გადსდვა სტუდენტის იაკიმე კირთავას საქმის [illegible] კობაძის დაბარების გამო, კობაძე გასამართლებულია იმავე საქმეზე და როგორც კირთავას ისე იმასაც 20 წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი ლოსაბერიძის მოკვლისთვის ოლქის სასამართლოსაგან.

✦ 7 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლომ ქუთაისში, ნოე ქღენტს, მეთოდე მახარაძესა და სერაპიონ ბურჭულაძეს პირველს ორს 15 წლის და მეორეს საუკუნო კატორღა მიუსაჯა დაცემისთვის.

✦ მიხეილ კოლუაშვილს მეორე საქმე აღმოაჩდა ბათომის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის გაძარცვა. იგი ქუთაისიდან ბათომის საოლქო საპყრობილეში იგზავნება. მას ათი წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი კაცის მოკვლისთვის.

✦ ქალაქ ბაქოს ნავთის მრეწველთა საზოგადოების კრებამ 400,000 მანეთი გადადვა თფილისის პოლიტეხნიკუმისათვის.

✦ ი. ჭავჭავაძის თხზულების გამოსაცემათ შემდგარმა საგანგებო კომისიამ ამ დღეებში გამოცხადა ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებში, რომ მან ამ საქმის გამო მუშაობა უკვე დაამთავრა. ამ თხზულების მასალა და მხატვრობაც მზათაა და იანვრისათვის „ქართ. გამომც. ამხ.“-ის სტამბაში შეუდგებიან წიგნის წყობას.

ამასთანავე კომისია აცხადებს, რომ ამ წიგზე ხელის მოწერის ვადაც გძელდება 1 იანვრამდი. ამიტომ ვინც ჯერ არ ჩაწერილა მაზედ და განზრახვა აქვს ჩაეწეროს, უნდა დააჩქაროს ჩაწერა, ხოლო ვინც ჩაწერილია და სამ ნაწილათ შამოსატანი ფული 8 მან. სრულათ არ გადაუხდია, 1 იანვრამდი უეჭველათ უნდა შემოიტანონ იგი, თვარა დაკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას.

ამისთვის ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ს გამგე და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია, ხელახლა ახსენებენ ილიას წიგზე ძველ ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა ვინც ვისთან არის ჩაწერილი, ხოლო ახლებს მოვაგონებთ ნუ გაუშვებენ დროს ამ საგანგებოთ გამზადებული წიგნის შეძენისას და გამოიწერონ იგი.

## მოწერილი ამბავი.

**ონი** (რაჭა).

ონში 300 კომლი ებრაელი ცხოვრობს. ებრაელები მცირე რიცხვის გამო-

კლებით ღარიბათ ცხოვრობენ. სიღარიბეა მიზეზი რომ გადამდები სნეულობა პირველათ მათში ჩნდება. ონის ებრაელობა გონებრივი განვითარების მხრითაც ჩამორჩენილი ხალხია

**დილიკოური** (ზემო იმერეთი).

სოფელ დილიკოურის და ბოსლევის მცხოვრებლებმა მიმართეს ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას თხოვნით, რომ დაეარსებია მათთვის შემნახველი ამხანაგობა. სოფლელთა თხოვნა ბანკმა დააკმაყოფილა და დაუარსა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა 2000 გრძელ ვადიანი და 3000 მანეთის მოკლე ვადიანის სესხით ამხანაგობის გამგეობის წევრები და საქმის. მწარმოებლები უკვე აირჩიეს.

**ს. ჯგალი** (ოდიში).

განსვენებული ივანე შარაშიძის სულის მოსახსენებლათ აქ ამ თვის პირველს პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს შემდეგ ღვდელმა გააცნო ხალხს ივ. შარაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოითქვა სურვილი, რომ მისი ვრცელი ბიოგრაფია გამოიცეს და დაეგზავნოს სოფლის შკოლებს.

**საჩხერე** (ზემო იმერეთი).

ორი წელიწადია, რაც საჩხერეში ხიდის კეთებას შეუდგენ, და აქამდი მოთავებას კი არაფერი ეშველა. ხალხს ხიდის გასაკეთებელი ფული გაღებული აქვს.

ოლქის მზრუნველის განკარგულებით აქ ქიათურის საქალაქო შკოლის პარალელური განყოფილება უნდა გადმოეტანათ. იქირავეს სახლი, მოწაფეებიც მიიღეს, მაგრამ სწავლა კი არ დაუწყიათ.

**ს. კორბოული** (ზემო იმერეთი).

ამ სოფელში კულტურული დაწესებულებანი დღითი დღე მრავლდება. გარდა წვ. კრედიტის საზოგადოებისა აქ წელს დააარსეს წიგნსაცავ—სამკითხველო. სამკითხველომ 22 ნოემბრიდან დაიწყო მოქმედება. გახსნის დღეს ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს. ღვდელმა ჯერ პანაშვიდი გადუხადა და შემდეგ გააცნო ხალხს დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, დ. სარაჯიშვილ და ნ. ლომოურიძე. სამკითხველოს გამგეთ მასწავლებელი ქალი ე. იოსელიანის ასული აირჩიეს. ყოველივე ამ საქმეში ღვ. მაჭარაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის...

# იძულებითი განმარტება.

არაფერი სურვილი არა მაქვს, მართალი მოგახსენოთ, მეც მივიღო მონაწილეობა იმ აურზაურში, რომელიც იყო ამ ბოლო დროს ატეხილი გაზეთებში აკაკის გაშავების გამო საჩხერეში, მაგრამ რა ვქნა! იძულებული ვარ სიმართლე აღვადგინო და თავიდან ავიცილო ის შეკითხვები, რომელიც მომდის ნაცნობ-მეგობრებისაგან. აი, რა საქმეა:—გაზ. „თემი“-ს მე № 99-ში მეტისმეტათ ახირებული და ჩემთვის კი გასაოცარიც მგოსანი აკაკის განცხადება წავიკითხე. ჩვენი მგოსანი იმ ლექსის შესახებ („ვაშა“ დეპუტატს!), რომელიც მან გეგეჭკორზე დასწერა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი გამოეკამათა პოლონელთა კოლოს ეროვნული საკითხების შესახებ სახელმწიფო სათათბიროში, ბძანებს, რომ ის მაშინ „გულის წყრომამ აიტანა,“ რომ „წამითი სიცოფეს“ განიცთიდა და ვითომც ამ „გულის წყრომის“ და „წამითი სიცოფის“ ,,შედეგია ის ლექსიც და არა ნამდვილი მისი ეროვნული გულისწყრომის ნადუღი, ე. ი. ეს ლექსი მან აღიარა უკანონოთ შობილათ და, როგორც ამისთანა, თავის უკანონოთ ნაშობთა რიცხვში ჩარიცხა. თურმე, ნუ იტყვით, მაშინ ჩვენი მგოსანი გეგეჭკორს არ იცნობდა, თვარა ამ ლექსს როგორ დასწერდა! როდესაც კი გაიცნო ,,აზრი შეეცვალა მასზე და მოინდომა იმ უკანონოთ შობილის მოსპობა, მაგრამ ველარსად ნახა—,,აქით ეცა, იქით ეცა და ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ვერა გაიგო-რა,“ და თურმე ახლა ეს საცოდავი ,,ამოჩენილა მისთანა პირების ხელში, რომელთაც მისი სურვილის წინააღმდეგ, თვითნებობით ის გამოუმჟღავნებიათ‘‘ და სხ. ამისთანები, თითქოს მის შეხედულობას ეროვნულ საკითხზე და საერთოდ ჩვენი ყოფილი დეპუტატების ქცევა-მოქმედებაზე სახელმწიფო სათათბიროში, ეს ლექსი ეწინააღმდეგებოდეს!—

რადგან დედანი ამ ლექსისა თვითონ მე მაქვს, ვალდებულათ ვცნობ ჩემს თავს ორიოდე სიტყვა ვთქვა მის შესახებ და მოკლეთ მეტრიკული ცნობებიც წარმოვადგინო მისი, მით უფრო აუცილებელია ჩემთვის ეს ვალდებულობა, რომ აკაკი თავის განცხადებაში ბრალსა სდებს იმას, ვის ხელშიც დღეს იმყოფება ეს საცოდავი, აწ მისგან აძულებული, მისი უკანონოთ შობილი, ამას გარდა, ამით მინდა ჩემი ნაცნობ-მეგობრების ცნობის მოყვარეობაც დავაკმაყოფილო, რომელთაც არ იციან, ,როგორ ახსნან ეს შემთხვევა: ნუ თუ მართლა აკაკის დაუკითხავათ მე გამოვაქვეყნე მისი ნაწარმოები!

იმ ხანებში, როდესაც აკაკიმ ეს ლექსი დასწერა, ჩემთან ჩერდებოდა ბინათ ქუთაისში; ერთხელ თფილისიდან ჩამოვიდა, ამოიღო უბის ჯიბიდან, დღეს მისგან უკანონოთ შობილთ აღსარებული, წამიკითხა და მართლა რომ ნამდვილი გულისწყრომით მამცნო, რომ მას ეს ლექსი თფილისში არ დაუბეჭდეს. მისმა ამისთანა კეთილშობილურმა გულისწყრომამ მეც ამიტანა და რამდენიმე მკვახე სიტყვა მაშინდელი ჩვენი პრესის წარმომადგენლების მიმართ წარმომათქმევია, ლექსი მართლა რომ გულს მომხვდა, მომეწონა და შემდეგ, რამდენიმე ტაეპს, რომელნიც კარგათ ასურათებენ დღევანდელ ჩვენს უბადრუკ დროს და პარტიათა სიმახინჯეს, ხშირათ ზეპირათ ვიმეორებდი მასთან. თფილისში ეს ლექსი, თუმცა არ დაუბეჭდეს, მაგრამ პირი კი გადაეღოთ მისი და ხელ-ნაწერათ დადიოდა ქართველ საზოგადოებაში. დედანი, თფილისის გაზეთებიდან ათვალწუნებული აკაკიმ მე გადმომცა და ჩავდევი იმ უჯრაში, სადაც სხვა ლექსებიც მაქვს ძვირფასი მგოსნისა შენახული; ეს გარემოება ბ. აკაკიმ კარგათ იცოდა და მით უფრო საკვირველია ჩემთვის, რათ, რისთვის და ვისთვის დასჭირდა ამ უხერხული გზით თავის მართლება ბ. გეგეჭკორის წინაშე! ამბობს, ვითომ პირველათ, ახლათ შობილი ეს ლექსი იმ ლექსთა კრებულს მიუმატა, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამობაზრდება და შემდეგ კი, როდესაც მან ბ. გეგეჭკორი გაიცნო, იმისთანა ღირსებები აღმოაჩინა მასში, რომ თითქოს ეროვნული კითხვებიც ანაცვალა მას და ისე გაიტაცა მისმა სულიერმა სილამაზემ, რომ გაეშურა იმ უკანონოთ შობილის მოსასპობათ, მაგრამ... ვაი, უბედურებავ!.. „იქით ეცა, აქით ეცა, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ვერა გაიგო რა!“.

ადვილი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება ამ სიტყვების წაკითხვაზე, მით უფრო, რომ ორი-სამი კვირით წინ, სანამ ეს ლექსი დაიბეჭდებოდა და აკაკის განცხადება მოთავსდებოდა გაზ. „თემში“ მგოსანი ბძანდებოდა ჩემთან, სადილათ, მისგარდა, იყვენ სხვებიც; აკაკის თან ახლდა ბ. კოტე აბდუშელიშვილი. სხვათა შორის, ჩამოვარდა ლაპარაკი არჩევნებზე, თუ ამა და თუ იმ ჯგუფის მიმართულებაზე, ბ. აკაკის გაშავებაზე საჩხერეში; მე სულმა არ მომითმინა, ნასადილევს გამოვწიე უჯრა, ამოვიღე ეს ლექსი და წავუკითხე ჩემს სტუმრებს, ოლტაცებაში მოვიდენ მსმენელნი, თვით აკაკიმაც ბევრი იცინა აკაკურათ, ერთი ადგილი „ამ მშვენიერი ლექსის და კუზზე კი გასაძლომათ მას კიდია რუსის ხატი“, კიდევაც განგვიმარტა თავისივე აკაკური მარილით; ბ. აბდუშელიშვილმა ამ ლექსის პირი მთხოვა და წაიღო.

ყოველ ამას შემდეგ, სწორეთ გაკვირვებული ვარ, რის „აქით და იქით ეცა“ ძებნაში მგოსანი! ვიმეორებ, რისთვის დასჭირდა მას ამ გზით ემართლებია თავი ბ. გეგეჭკორის წინაშე, რომ მით სხვისთვის ჩირქი მოეცხო, მე არავის ვუშლი, ვის რაც ნებავს ის იწამოს, ვის ვინც ნებავს ის აქოს და აღიდოს, ეს მათი საქმეა, მათს უფლებას შეადგენს, მაგრამ სხვის სახელს და პიროვნებას არ უნდა შეეხონ, თუმცა დედანი ამ ლექსის ჩემთან არის, მაგრამ პირი მისი, როგორც თფილისში, ისე ქუთაისშიც ბევრს ქონდა.

სხვათა შორის ჩემი გაკვირვება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ აკაკი ამ განცხადებით გმობს ამ კანონიერათ დაბადებულ მშვენიერ ლექსს, უკანონოთ ნათლავს მას და თითქმის იმ დღესა და საათს იწყევლის, როდესაც მან ეს საცოდავი გამოსახა შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე, მაგრამ ცთება ჩვენი მგოსანთა-მგოსანი, უკანონოთაც რომ ვიცნოთ მაგ. საცოდავი, მშობლისაგან მოძულებული, ნამეტანათ ჩამოგავს მას მშობელს, ერთობ კოხტა და ლამაზია, მჭრელი ბასრი კბილებით, ლამაზი გარეგანი შეხედულობით და თუ მაინცა და მაინც მშობელი მას ჯერ-ჯერობით არ შეირიგებს, არ იცნობს მისს კანონიერ გულის სიღრმიდან ამონადენ ნაკადულთ, ჩვენ ერთად-ერთი დაგვრჩენია ვიგულისხმოთ, რომ ადამიანის ცხოვრებაშიც აგრეა—ხშირათ, უკანონო, მშობლისაგან აძულებული და მიტოვებულიგანდევნილი შვილი, იმისთანა ახოვანი, თვალწარმტაცი სილამაზის და მასთან ნიჭიერი გამოსულა ცხოვრებაში, რომ კანონიერი ნაფუფუნები მასთან შედარებითაც ვერ შეუდარებიათ და მშობელსაც, რომ შეუხედავს, როგორ ეთაყვანებიან, მას გარშემო, თაყვანს სცემენ მის მომხიბლავ სილამაზეს და გონიერებას, თავი ვერ შეუკავებია, გული შეუბრუნებია, ჩაუკრავს მკერდში უკანონო შვილი და ცხარე სინანულის ცრემლში დამტკბარა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ,—ბოლო აქაც ამისთანა იქნება.

ს. ლ. ბახტაძე.

* * *

შემოდგომის სუსხმა დაჰკრა,
დაჰკრა სუსხმა შემოდგომის—
და მისწერა მან უსტარი
ზაფხულს გზიდან გადადგომის!.

ხესა სცვივა ძირს ფოთლები,
ფოთლები ძირს სცვივა ხესა,
შორის გზიდან მოვარდნილმა
ქარმა ხევში დაიკვნესა!..

—

ბურუსი ცას გადაეკრა,
გადაეკრა ცას ბურუსი—
და ხმაც მიწყდა მთიდან ცელქათ
მოლიკლიკე ანცი რუსი!

ჰიმნი გაჰქრა საოცნებო,
საოცნებო გაჰქრა ჰიმნი
და მგოსნის ჩანგს ნაღვლიანათ
გადაებენ სევდის სიმნი!..

—

სოფლის ვარამს გულსაკლავსა,
გულსაკლავსა ვარამს სოფლის—
შეუერთდა ყრუ ქვითინი
მაწანწალა, საწყალ ობლის!

გლეხს წამოსკდა სიმწრის ცრემლი,
ცრემლი სიმწრის წამოსკდა გლეხს:
ქვეყნისა მრუდ განაჩენსა
სწყევლის უთვლის რისხვას ღ მეხს!.

—

შემოდგომის სუსხმა დაჰკრა,
დაჰკრა სუსხმა შემოდგომის—
და მისწერა მან უსტარი
ზაფხულს გზიდან გადადგომის!..

ხესა სცვივა ძირს ფოთლები,
ფოთლები ძირს სცვივა ხესა...
შორის გზიდან მოვარდნილმა
ქარმა ხევში დაიკვნესა!..

ლადო გეგეჭკორი.

# ფიქრის მორევში.

მსახიობის ბენეფისი ხალხის დღესასწაულია.

ხალხი უხთის დღეობას მსახიობს კარგი სამსახურისათვის.

ხალხი ეუბნება მადლობას მსახიობს, მადლობას იმისთვის, რომ ის სარკეთ უხთება მის ავსა და კეთილს, ცხადათ უხატავს თვალწინ ყოველ მის სატკივარს და მალამოს უძებნის ტკივილებისას.

ატირებს, აცინებს, აშფოთებს, ააფთოვანებს.

მსახიობი იგივე ჯადოსანია, რომელიც თავის ნებისათ შებორკავს, შეჯაჭვავს სრულიად დარბაზს და რამდენსამე ასს კაცს თავის სურვილზე ატარებს...

ასეთი წამები ხშირათ განმიცდია ჩვენ მსახიობთა თამაშით...

მინახავს თეატრის დარბაზი აცრემლებული და გახალისებულიც...

მინახავს კმაყოფილი მაყურებელი...

და ეს კმაყოფილება თეატრში მოსიარულეთ არა ერთგზის უგრძვნიათ, როცა სცენაზე გ. არადელი-იმხნელი თამაშობს, რომლის ბენეფისიც დღეს არის.

გ. არადელი-იმხნელი, როგორც იტყვიან ჭკვიანი მსახიობია. უქკუობას ვერ ვიტყვი, და უსამართლობა კი იქნება—ღირსეული პატივი არა სცეს ამ კარგ მსახიობს საზოგადოებამ და მისი დღეობა არ დააფასოს... დ.

# სახელმწიფო სათათბირო.

მინისტრის დეკლარაციის პასუხებს რამდენიმე სხდომა მოუნდება, თუ ყველამ, სამოცზე მეტმა დეპუტატმა ილაპარაკა, როგორც ამის ცნობა იყო. მინისტრის სიტყვას მადლიერი მარტო ერთი ცენტრისა და ნაციონალისტების წარმომადგენელნი დარჩენ. მემარჯვენეთა გული ვერ მოიგო დეკლარაციამ და მემარცხენენი ხომ სასტიკათ აკრიტიკებენ მას.

რვა დეკემბრის სხდომაზე მარკოვმა მეორემ სხვათა შორის სთქვა: მინისტრია საბჭოს სიტყვაში შერიგების ჰანგები ისმოდა. იმან მოგვაგონა ჩვენ თავ. სვიატოპოლკმირსკის გაზაფხული და გრ. ლორის-მელიქოვის შრომა; მაგრამ ისტორიამ დაგვანახა ამის შედეგი. იმის თქმა, რომ რუსეთი საკმაოთ ფართოა ყველა ეროვნებისთვის, და მაშასადამე ებრაელთათვისაც, მოწმობს მინისტრის მხრით რუსეთის სრულ უვიცობას. რუსეთში არ არის მიწის სიფართოვე; იმის განცხადება კი, რომ მთავრობა ერთნაირათ იქნება კეთილგანწყობილი როგორც რუს ხალხთან, მასპინძელ ხალხთან, აგრეთვე მოსულ ხალხთანო, მინისტრისაგან ისე მოისმის, როგორც უარყოფა სახელმწიფოებრივი მოვალეობისა, როგორც უარყოფა რუს-ხალხის ისტორიულ უფლებათა. მემარჯვენენი სიამოვნებით ეგებებიან საპოლიციო ახალ წესდებას, მაგრამ ამასთანავე მოითხოვენ გადაათვალიერონ სისხლის სამართლის დებულებანი სასჯელთა გასაძლიერებლათ. ჩვენებურმა სისხლის სასამართლომ გარყვნა ხალხი, განსაკუთრებით ინტელიგენცია. საჭიროა ზოგიერთ დანაშაულობათა დასასჯელათ შემოღებული იყოს ხორციელი წამება, დასჯა. სახელმწიფოს დაცვა საუკეთესოთ უნდა იყოს მოწყობილი: ტყუილათ ვიბრმავებთ თვალებს და ვითომ ვერ ვხედავთ, რომ სახელმწიფოს ქარხნები გადადის მტრის ხელში. სლავიანთა ხალხის მომხრე ვარ, მაგრამ არა ვარ მომხრე მისასალმებელ დეპეშათა მობილიზაციისა, რადგანაც ეს პროვოკაცია იქნება, თუ დეპეშათა მობილიზაციას არ მოყვა რუსეთის ჯარის მობილიზაცია. საპოლიტიკო ნაწილი კოკოვცევის და მაკლაკოვის სიტყვისა ერთი და იგივეა. მხოლოდ მაკლაკოვმა გარკვევით სთქვა ის, რაც კოკოვცევმა ბუნდოვანათ ამხილა. რუსეთის ხალხი არის დამცველი თვითმპყრობელობისა, და თუ ინტელიგენცია გაბედავს და იტყვის, რომ ის, თვითმპყრობელობა, ეკუთნის ისტორიასო, წარსულსო, მაშინ აღსდგება ხალხი და თქვენ დაინახავთ, თუ რა გვარი იქნება მემარჯვენეთა რევოლიუცია (ტაშისცემა მარჯვნით).

კერენსკი. თანამედროვე მდგომარეობის საშინელება ის კი არ არის, რომ მთავრობას ასე თუ ისე ესმის თავისუფლება და ებრძვის მას, არამედ ის არის, რომ ერთხელ დამკვიდრებული მეთოდების შესარჩენათ უფლებას კი არა, კულტურას ებრძვის. ხალხის წარმომადგენლობის მოვალეობაა, მიუხედავათ პირადი ტანჯვისა და სხვერპლისა, დაიცვას ქვეყანა გახრწნისა და დაღუპვისაგან. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გადავიდეთ ახალ საკანონმდებლო სისტემაზე, დემოკრატიის გარეშე არ არის რუსეთის ხსნა, უხალხოთ არ შეიძლება ქვეყნის მართვა-გამგეობა. ჩვენ, შრომის ჯგუფელები, როგორც წარმომადგენელნი მშრომელი ხალხისა ვამბობთ: მთელ ევროპის დემოკრატიასთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობა ცდილობს ჩაითრიოს მშრომელი ელემენტები გარეშე საქმეთა გამწვავება და გართულებაში. ვაცხადებთ, რომ ქვეყნის და მშრომელთა ინტერესები ამას სრულიად ეწინააღმდეგება. ვერა გზით, ვერ დაგვარწმუნებთ, რომ ომი აუცილებელია, აუცილებელია მშრომელ ხალხის სისხლის დაღვრა. ჩვენ ვამტკიცებთ: მხოლოდ დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია მშვიდობიანობის გზით გადაწყვიტოს სადავო საკითხები. ეს არის ჩვენი მისწრაფება, ჩვენი მიზანი (ტაშისცემა უკიდურეს მემარცხენეთა სკამებზე).

მთავრობამ მესამე სათათბიროს აღუთქვა შესაფერი კანონპროექტების შემუშავება; მიუხედავათ ამისა კანონპროექტები ჯერ არსად ჩანს. ახლა მთავრობა ამბობს, რომ მათი მომზადება ხანგძლივ დროს მოითხოვსო. ამისთანა უმოქმედობა, ასეთ რთულ და დიდმნიშვნელოვან დარგში, მერე იმ დროს, როცა ერობა ფიზიკურათაც და ზნეობრივათაც გადაგვარების გზას დაადგა, მიუტოვებელი ცოდვაა. ორატორი მოაგონებს ნაციონალისტების კენჭის ყრას დასაწყის სასწავლებლებში ენების სწავლების თაობაზე. სტოლიპინმა სულს იდვა დიდი ცოდვა იმით, რომ ზოოლოგიური ნაციონალიზმი დაამკვიდრა, რომელიც შხამავს რუსეთის ცხოვრებას. შინაურ საქმეთა მინისტრი სპობს საზოგადო ორგანიზაციებს, რომელნიც მშიერ ხალხს დახმარებას უწევენ: ჩვენში არ არის მჭიდრო კავშირი ეკონომიური წარმატებისა და ხალხის ცხოვრების შორის. ეკონომიური წარმატება ხელოვნურია. მთავრობას მოსცილდა ცხოველმყოფელი ძალა, რადგანაც იქ ხალხის მოთხოვნილებას ალაგი არა აქვს; იქ დარჩა მხოლოდ ბიუროკრატიული მანქანა, მხოლოდ თვალები და ჰახრაკი. ცოცხალი საქმე არ არის. შინგარევის სიტყვას ხანგძლივი ტაშისცემით ეგებებოდენ მემარცხენენი.

# სახალხო უნივერსიტეტი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის კულტურული მუშაობა თვალსაჩინო და ნაყოფიერია, ის თანდათან მკვიდრ ნიადაგზე დგება: აქ ხშირათ დროისა და მიზნის შესაფერ ლექციებს ვისმენთ ხოლმე. ჩვენის ფიქრით ამათ რიცხვში ბ-ნ ს. რობაქიძის მიერ საქართველოს გეოგრაფიიდან წაკითხული ლექციებიც უნდა ჩაითვალოს. აქ ლექტორის რასაკვირველია, არ შეეძლო რაიმე ახალი იდეით და აღმოჩენით გავეკვირვებიეთ და უცხო აზრებით მოვეხიბლეთ. იმან, როგორც თვით ლექციების თემა მოითხოვდა, უნივერსიტეტის აუდიტორიას სამი კვირის განმავლობაში მეტათ მდაბიოთ და უბრალო ენით გააცნო დასავლეთი საქართველო; მისი საზღვრები, ბუნება, დედამიწის შენობა, რწყვა, ჰაერი, მცენარეები, ცხოველები, მცხოვრებნი, მათი მდგომარეობა, ბუნებრივი და ადმინისტრატიული დანაწილება.

ასეთი ლექციები მეტათ საჭიროა ჩვენში, სადაც მშობელი ქვეყნის ცოდნა მეტ ბარგათ არის მიჩნეული და ამ საქმეში სრულს უვიცობას ვიჩენთ. ჩვენს საზოგადოებას საერთოდ და ამ საზოგადოების ,,განათლებულ‘‘ ნაწილს კერძოთ ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავის სამშობლოზე და იმავე დროს ბევრს ზეპირათ შეუძლია ჩამოთვალოს სხვა უცხო ქვეყნების, მაგ. აფრიკისა და ამერიკის მთები, მდინარეები და ღირსშესანიშნავი ნაშთები, ეს კი სავსებით ეწინააღმდეგება საღ გონებას და პედაგოგიის ელემენტარულ დებულებას, რომელიც ითხოვს სწავლა დაკვირვების მახლობელ საგნებიდან დაწყებას და თანდათანობით შორეულზე გადასვლას, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, თავისი ქვეყნის შესწავლა ადამიანს ბევრათ უადვილებს სხვა შორეულ ქვეყნის შესწავლას და ნათლად წარმოდგენას.

ბ-ნ ს. რობაქიძის ლექციების მთავარ ნაკლს, ჩვენის ფიქრით, ის შეადგენდა, რომ იმან საქართველოს დიდი კულტურული წარსულის, როდესაც სწავლამეცნიერება და ხელოვნება აქ ყვაოდა, უტყუარ მოწმეთ—ღირსშესანიშნავ ნაშთებს გვერდი აუხვია და არ მოიხსენია. კარგი იქნება პატივცემული ლექტორი აღმოსავლეთ საქართველოს გაცნობის დროს, რომლის შესახებ ლექციების წაკითხვა შემდეგისთვის დაგვპირდა, ამ მხარესაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს.

წასულ კვირას აქიმმა გ. ბადრიძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „მარგებელი საჭმლის გავლენა ადამიანის სიცოცხლის ხანგძლივობაზე.‘‘

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერთან და ზომიერ ფიზიკურ ვარჯიშობასთან მარგებელ საჭმლის ხმარებას. დაკვირვებულ ადამიანს თვითონ აქიმზე უკეთ შეუძლია შენიშნოს—რომელი და როგორი საჭმელი რგებს მის აგებულებას. საზოგადოთ უმთავრესათ [illegible] საჭმლის ხმარება სასარგებლო არ არის და, წინააღმდეგ საზოგადოებაში გავრცელებული აზრის, ხორცით ჭარბათ სარგებლობა მავნებელიცაა. ამ ბოლო დროს მცენარეულობით საზრდოობას უფრო სასარგებლოთ სთვლიან. რძის მარგებლობა

იყიდება ნარდათ
გაპენტილი ბამბა
ყველა ხარისხის

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ-ები
ქუთაისში.

მიიღება ბამბა გასარჩევათ და გასაწენდათ ძლიერ ზომიერ ფასათ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.
მაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მომივიდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდი გნიშნავ არაჩვეულებრივ

# იაფვაჭრობას.

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლად

# ფ. ს. ფილიპოვისა

ვაჭრობა ნაღდზე.

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.


ყველას კარგათ მოეხსენება და მაწონი პირდაპირ წამლათ შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანი რომ თავს რიგიანათ უვლიდეს და თავის აგებულობის მოთხოვნილების თანახმათ საზდოობდეს, მაშინ მისი სიცოცხლე ახლანდელზე ბევრათ უფრო ხანგძლივი იქნებოდა.

ფვარი.

## ახალგაზდა ბენეფიციანტი.

(გ. არადელი-იშხნელი).

მთელი წრევანდელი სეზონის განმავლობაში, თითქმის ყოველ ქართულ წარმოდგენაზე საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა ახალგაზდა მსახიობი არადელი-იშხნელი.

გვინახავს იგი ზვიად ოთარბეგის როლში („ღალატი"), გვინახავს იგი ოჯახის მამასახლისის—პატრონის როლში, („M-me X", „ბავშთა კატორღა"), გვინახავს სიმდიდრისაგან გამეჭიჩრებულ ებრაელის როლში („საკლავი") და გალოთებულ, დაკარგულ, მაგრამ სიმპატიურ სტუდენტის როლში („დღენი ჩვენი ცხოვრებისა").

ყოველგან ახალგაზდა მსახიობს, დაკვირვებული თამაშით, მშვენიერი ხმით, მოუხიბლავს მაყურებელნი.

დღეს მისი ბენეფისია. ბენეფისი მსახიობისთვის იგივეა, რაც პოლიტიკური მოღვაწისთვის ნდობის გამოცხადება, კეთილი ოჯახისთვის დღესასწაულის ან დღეობის მილოცვა.

ტყულა ვფიქრობთ, თითქოს მსახიობს ბენეფისის დროს მხოლოდ მატერიალური მხარე აინტერესებდეს. არა!.. ეს შეცთომაა. ბენეფისის დღეს არტისტი თავისი შრომის დაფასებას ელის, თანაგრძნობას ეძებს.

ქართველ არტისტს ეს ერთადერთი ჯილდო აქვს თავის ხელმოკლე ცხოვრებაში, თავის ესთეტიურ სურვილთა დაუკმაყოფილების დროს და საზოგადოება მოვალეა გაამხნევოს, დაუფასოს შრომა.

## ლ ე ჩ ხ უ მ ი.

**ს. დერჩი.** დიდ მაცადინობას შემდეგ აქ დაარსდა ორ-კლასიანი სამინისტრო შკოლა, რომლის წინაალმდეგ აღმოჩნდა რამდენიმე პირი: პირბადით დაიარებოდენ და სხვადასხვა ხელის შემშლელ ჭორებს ავრცელებდენ ხალხში. შეგნებულობამ სძლია და დაადგინეს განაჩენი ამ შკოლის დაარსების თაობაზე. მასთანვე შვამდგომლობა აღძრეს შემწეობა მიეცა ხაზინას, რაც აღგვითქვეს, ამ საქმის დაგვირგვინება ხელ-ვიწროობის გამო დიდი საძნელო იქნებოდა მცხოვრებლებისათვის, რომ ადგილიც შესაძენი გახდომოდათ, მაგრამ აქ დიდი დახმარება და ღვაწლი მიუძღვისთ გიორგი, სიმონ და, უკვე განსვენებულ ელიზბარ წერეთლებს, რომელთაც შესწირეს სოფელს შკოლისათვის საკმაო ადგილი და ამით გასკვნეს მომავალი შკოლის საძირკველი; ამ დღეებში აირჩევენ აშენებელ კომისიას და გაზაფხულზე შენობასაც შეუდგებიან. დროებით ბინა უკვე დაიქირავეს და ამ დღეებში მოელიან მასწავლებელს. არსდება აგრეთვე ამ სოფელში, რომელიც მთელი საზოგადოების (12 სოფ. შესდგება) შუაგული ადგილია, ყოველ კვირეული ბაზარი. დერჩის საზოგადოებისათვის, რომელიც დიდათ დაშორებული არის საგუბერნიო და სამაზრო ადგილებიდან ამ ბაზრობას დიდი ნიშვნელობა ექნება. ბევრი სხვა იმედებიც, რომელსაც ამ სოფელზე ვამყარებდით, გვეკარგება იმ პირთა წყალობათ, რომელთაც ძველ-ბნელ კალაპოტში უნდათ ყოფნა. მონდომებული იყო აქაური ახალგაზდობა სამკითხველო დაეარსებია, მაგრამ, სამწუხაროთ, თავი იჩინა ბნელმა ძალებმა, ამათ ხელს უწყობენ „დობჩინსკი და ბობჩინსკები", რომლებიც არ აღმოფხვრილან კიდევ ჩვენ დროში. ვუსურვებ ჩვენს საზოგადოებას აელაგმოს ეს ჭორიკანები და საქმეს, ხალხის სამსახურს ბეჯითად შედგომოდენ.

ნ. ნი.

## გ უ რ ი ა.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთი გურიის საუკეთესო კუთხეთ ითვლება. არცერთ სოფელს ან დაბას ისეთი ჩქარი ზრდა არ ეტყობა როგორც ლანჩხუთს და ეს იმით აიხსნება რომ ამ დაბას ძლიერ უწყობს ხელს თვით ბუნება და მერე მდგომარეობა. სისწორით რომ აღვნიშნოთ ლანჩხუთელმა არც უნდა ვსთქვათ ღარიბი ვართ, მე თუ დღევანდელ უკუღმართი ცხოვრების პირობებში სოფლის გლეხს კი შეუძლია ცხოვრება თავისი შრომით. პირველობა ლანჩხუთს ეკუთნის. აქ საკმაოთაა სახნავ-სათესი კარგი მოსავლიანი მიწები, საბალახო. მაგრამ, სამწუხაროთ, აქაური მკვიდრნი, უმეტესათ ფუქსავატურ ცხოვრებაში ატარებენ დროს და მუშაობა ბევრს კიდევაც ესირცხვება; ნაცვლათ მუშაობისა ძალიან გავრცელებულია ლოთობა, მუშტი-კრივი, კარტ-ნარდის თამაში და სხვა ასეთები. ლანჩხუთში თითქმის მაღაზიების მესამედს რესტორან-სამიკიტნოები შეადგენს და დღითი დღე ემატება, საიდანაც გაისმის ვაჰაჰაია, საქმე თუ უქმი დღეც. და სადაც თავს იყრის უბრალო ყანის მუშა, ინტელიგენტი, „თავისუფალი მოსიარულე" და საერთოდ ყველა ჯურის ადამიანი. ლანჩხუთში საკმარისათ მოიპოვება ინტელიგენტი თუ მოინტელიგენტო პირი, რომელთა უმეტესობა სრულ არარაობას წარმოადგენს. თუ რომელიმე პირმა საზოგადო საქმეს ხელი მოკიდა, უნდა რამე გააკეთოს და ფეხი გამოიჩინა საქმეში, დანარჩენების უსიამოვნებას საზღვარი არა აქვს:—ცდილობენ, როგორმე ხელი შეუშალონ და საქმე ჩაშალონ. ერთ თავგამოდებულ შრომით ზოგი აქაური ინტელიგენციისა, უნდა ჩაითვალოს სამკითხველოს დაარსება და სახლის აგება სამკითხველოსათვის. მაგრამ ეს საქმე ჯერ-ჯერობით ვერ არის რიგზე დაყენებული, რაშიც, ჩემის აზრით, მეტი ბრალი გამგეებს დაედებათ.

მეორე კულტურული საქმე იყო სათეატრო სახლის აგება. ამ სათეატრო სახლზე ლანჩხუთელმა მანდილოსნებმა და ვაჟებმაც ბევრი ილაპარაკეს. მაგრამ საქმის ჩამშლელი უფრო მეტი გამოდგა ვიდრე გამკეთებელი.

ამ ჟამათ წარმოდგენები იმართება ნაქირავებ ყაზარმისებ სახლში, სადაც სიცივისაგან, თუ სხვა მიზეზების გამო, წარმოდგენებზე დასწრება უხერხულია. უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო მოვლენაც, რომ ზოგიერთი აქაური ვაჟბატონების წყალობით, ხალხს ძალიან გული უცრუვდება და ხელოვნების ტაძრისადმი სიყვარულს თანდათანობითი კარგავს.

ხედავთ ქუჩებში გაკრულ განცხადებებს და კითხულობთ: ამა და ამდღეს, ამა და ამ მსახიობის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ესა და ეს პიესა. პიესით-თუ მსახიობით დაინტერესებული საზოგადოება, აღნიშნული პიესის მიგიერ სულ სხვას ხედავს და მსახიობზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ბილეთებს კი ერთგულათ და ბეჯითად ასაღებენ ასეთი წარმოდგენებისასაც აქაური „მადამ-პარიშნები".

მოდი გნახოთ.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე





# იულიუს სარეჯ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათოშის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

# იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ფონოგრაფები, საქსოვი და საკერავი მანქანები, ველოსიპედები და მათი ნაწილები. ყველა შეკეთება, ... (თბილისის ფასებით). ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მუავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

# ბ. გორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.




# ფილიპე ნ. ჭელიძის

# შამპანური

„თამარ მეფე" და „გოლხიდა"




ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მევინე სპეციალისტის მეთვალყურობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში მიცანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.
მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.
მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

# ვისაც სურს

ქონდეს ნამდვილი ავტომატიური თვითგამანათებელი ფარნები, რაშიც პასუხისმგებელია ინვერტ-ავტომატი (იგა), მიმართოს





ნ. ს.

# ტერკს

ქუთაისში, ქარვასლის ქ., ტელ № 127.
ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც.

ნ. ს. ტერკის ფირმის ფარნებით განათებულია ბევრი დაწესებულება, პოლკი,, დაბა და სოფელი. მაგ.: ქუთაისის ფოშტა-ტელეგრაფის კანტორა, ფოთის პოლკი, საგუბერნიო ციხე, სოფ. ჩხარი, ლანჩხუთი, ბანძა და სხვ.
მოითხოვეთ უფასოთ
„კალილნი" ლამპების სპეციალური პრეისკურანტები.



რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

# ძმ. ე. და პ. საკაშვილების

## სავაჭროში, ქუთაისში.

(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

ჰყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორკით" „დუხოვკით", სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.


ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.